სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
38202036601324

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240901752

რეგისტრაციის თარიღი

16.07.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაოთხი წლის თექვსმეტ ივლისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ამირან ბარბაქაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „საქცივპროდუქტი“-ს დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ამირან ბარბაქაძემ (დაბ. 15.08.1960 წელს, მის. ტყიბული, ს. მუხურა, მე-7 ქ. № 1, პ№ 41001002060) მომმართა.

შევამოწმე ამირან ბარბაქაძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „საქცივპროდუქტი“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19135132, ამონაწერის მომზადების თარიღი: 03.12.2019, საიდენტიფიკაციო ნომერი: 402034008.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ამირან ბარბაქაძემ, როგორც შპს „საქცივპროდუქტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402034008) დირექტორმა - დავით ავალიანს (დაბ. 11.07.2000 წელს, პ№ 01024090161) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს შპს „საქცივპროდუქტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402034008) წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან, გამგეობაში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობაში არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საკრებულოში, ჭონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, ტექბიუროში, სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრში, საპატრულო პოლიციაში, არქივში, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საამზომველო კომპანიებში, ნებისმიერ უძრავი ქონებაზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანასთან (ფართი, მისამართი, პირადობის მონაცემები, ნომრის მინიჭება, გამიჯვნა, გაერთიანება და სხვა), განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადებასთან, დემონტაჟთან, ნებისმიერი ტიპის შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან, ღობის მოწობასთან, სარემონტო სამუშაოების წარმოებასთან, პროექტის წარდგენასთან, შეთანხმებასთან, ცვლილების შეტანასთან/კორექტირებასთან, ნებართვის მიღებასთან და უძრავი ქონების ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, რისთვისაც უფლებამოსილია წარადგინოს ფოტომონტაჟი და ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონულად), სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, აღმოფხვრას ხარვეზი, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, თანხმობა, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს (მათ შორის ელექტრონულად) და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით მინიჭებული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ორიათას ოცდახუთი წლის თექვსმეტი ივლისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „საქცივპროდუქტი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19135132, ამონაწერის მომზადების თარიღი: 03.12.2019.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 30.00 ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 5.40 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 40.40 ლარი.

შპს-ს დირექტორი _____

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/